

იაპონური კორპორატიული მართვის მოდელი კაპიტალური ტიპის
საზოგადოებებში - გამოცდილება საქართველოსთვის

მარიამ ბერიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის
სკოლის კერძო (ბიზნეს) სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ ბერიძე

09/06/2025

აბსტრაქტი

საქართველოს სახელმწიფო საწარმოთა ღია ტიპის სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნამ იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფოსათვის ეკონომიკის თვითრეგულირებადი სუბიექტები შეექმნა, შედეგად მუდმივი რეგულირების საჭიროების მქონე ბაზარი შექმნა. ყოველივე ამის გარდა, საქართველოს ეკონომიკა საბანკო ეკონომიკად იქცა. მაშინ, როცა საქართველოსთვის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად უცხოური ინვესტიციების მოზიდვა განიხილება, რომლის წინაპირობაც კარგი კორპორატიული მართვისა და მმართველი ორგანოების ფორმირების ერთიანი პროცედურული წესების - მართვის სისტემის ქონაა, მნიშვნელოვანია ისეთი საკორპორაციო კულტურის მქონე ქვეყნის კორპორატიული მართვის პრაქტიკის გაზიარება, როგორიც იაპონიაა, რადგან სწორედ იაპონური კორპორატიული მმართველობა განიცდის კეირეცუს ძირითად ბანკზე ორიენტირებული ქსელური მმართველობის მქონე კომპანიებიდან ძლიერ კონკურენტუნარიან კომპანიებად გარდაქმნას, რომელთა მართვის სისტემა ინსტიტუციონალური ინვესტორებისათვის დღითიდღე მიმზიდველი ხდება.

გარდა ამისა, საქართველოს ეკონომიკა მაინც საშუალო ბიზნესის განვითარების კუთხით საჭიროებს ჩარევებს, ვინაიდან სწორედ საშუალო ბიზნესი წარმოადგენს ეკონომიკის მამოძრავებელ ძალას. აღნიშნული კი შეიძლება განხორციელდეს იაპონური კორპორატიული მართვის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის გადმოღებით.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს იაპონური კორპორატიული მართვის მოდელის თავისებურებების კვლევის მცდელობას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდიდან დღემდე განიცდის ცვლილებებს საუკეთესო კორპორატიული მართვის პრაქტიკის მისაღწევად საერთაშორისო სტანდარტების გაზიარებითა და დამოუკიდებლობის, გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და აქციონერთა ჩართულობის გაზრდის კუთხით, რადგან საქართველოს საინვესტიციო კლიმატსა და

ეკონომიკურ სტაბილურობას სწორედ ამ პრინციპების განუხრელმა დაცვამ და საერთაშორისო სტანდარტებთან იაპონიის მიერ დაახლოების მცდელობებისა და მისი დადებითი შედეგების დანახვამ უნდა შეუწყოს ხელი.

ნაშრომში წარმოდგენილი მსჯელობით, საქართველოს კორპორატიული მმართველობის პრაქტიკა ისეთი ინსტიტუტების რეცეფციით, როგორიცაა საწესდებო აუდიტორის, საზედამხედველო კომიტეტისა და მამხილებელთა ინსტიტუტის დაცვა, საშუალო ბიზნესის განვითარების კუთხით უნდა გაუმჯობესდეს, რაც, თავისმხრივ, არ არის დაკავშირებული კორპორატიული რესურსების დიდი რაოდენობით ხარჯვასთან.

ნაშრომში გამოყენებულ იქნა შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, ისტორიული და ეკონომიკურ-სამართლებრივი, ანალიზური, დოქტრინალური და აღწერილობითი კვლევის მეთოდები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: იაპონიის საკორპორაციო სამართალი, საქართველოს საკორპორაციო სამართალი, კაპიტალური ტიპის საზოგადოებები, კეირეცუს მართვის სისტემა, ინსტიტუციონალური ინვესტორები, მამხილებელთა დაცვისა და მაკონტროლებელი ინსტიტუტები.

Abstract

The transformation of Georgia's state-owned enterprises into open joint-stock companies, instead of creating self-regulating economic entities for the state, has resulted in the creation of a market in need of constant regulation. In addition, the Georgian economy has become a banking economy. While attracting foreign investment is considered one of the most important factors for the development of the economy in Georgia, the prerequisite for which is the existence of a management system with uniform procedural rules for the formation of good corporate governance and governing bodies, it is important to share the corporate governance practices of a country with a corporate culture such as Japan, because it is precisely Japanese corporate governance that is undergoing a transformation from keiretsu companies with network governance focused on the main bank into highly competitive companies, whose management system is becoming increasingly attractive to institutional investors.

In addition, the Georgian economy still needs interventions in terms of medium-sized business development, since it is medium-sized businesses that are the driving force of the economy. This can be achieved by copying some important institutions of Japanese corporate governance.

This paper is an attempt to study the features of the Japanese corporate governance model, which has been undergoing changes since the post-World War II period to achieve best corporate governance practices by sharing international standards and increasing independence, transparency, accountability and shareholder engagement, because the investment climate and economic stability of Georgia should be promoted precisely by the unwavering adherence to these principles and the efforts of Japan to approach international standards and see their positive results.

According to the argument presented in the paper, the practice of corporate governance in Georgia should be improved in terms of the development of medium-sized businesses by adopting

institutions such as the statutory auditor, the supervisory committee and the protection of the whistleblower institution, which in turn is not related to the large expenditure of corporate resources.

The paper uses **comparative legal analysis, historical and economic-legal methods, analytical methods, doctrinal and descriptive research methods.**

Key words: Japanese corporate law, Georgian corporate law, capital-type companies, keiretsu management system, institutional investors, whistleblower protection and control institutions.